გაზეთი ღირს:

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

[illegible]

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ჩაი

უმაღლესად დამტკიცებული ამხანაგობა

ჩაის ვაჭრობისა და საწყობებისა

ძმათა К. и С. პაპოვებისა

გამგეობა ამხანაგობისა იმყოფება:

მოსკოვში: კუზნეცკის ხიდზედ, ძმ. ტრედიაკოვსკების სახლებში.
» უმთავრესი საწყობი იმყოფება ალექსეიევის ქუჩაზედ, ალექსეიევის მონასტერის ახლო, საკუთარს სახლებში. იქვე სწონავენ და ახვევენ 1, $^1/_2$, $^1/_4$ და $^1/_8$ გირვანქიან ქაღალდებში.

მაღაზიები იმყოფებიან:

» კუზნეცკი ხიდზედ ძმ. ტრედიაკოვსკების სახლებში.
» «სტრასტნოი» მონასტერთან, დუბროვინის სახლებში.
» «კალუჟსკის» კარებთან, გაიდანის სახლებში.
ს.-პეტერბურგში: ნევსკის პროსპექტზე, კაზანის სობოროს პირ-და-პირ, განსენის სახლებში.

ვარშავაში: სენატორის ქუჩაზედ, № 461 და
« ნოვი სვეტის ქუჩაზედ, გრაფ სტადიცკის სახ., № 1,252.
კიევში: ალექსანდროვის ქუჩაზე, ლიჩკოვის სახლებში და კრეშჩატიკაზე, კირგეიმის სახლებში.
ხარკოვში: პეტროვსკის ქუჩაზედ, საკუთარს სახლებში.

ტფილისში: გოლოვინის პროსპექტზე. მირიმანოვის სახლებში.

სევასტოპოლში: დიდს მორსკოიზე, ერანცევის სახლებში

როსტოვში (მდ. დონზედ): ნიკოლაევსკის პატარა ქუჩაზედ, თეატრის პირ-და-პირ, შაპოშნიკოვის სახლებში.
ოდესაში: ბერძნების ქუჩაზედ, სკულიჩის სახლებში და დერიბასოვის ქუჩაზედ, ჩერეპენნიკოვის სახლებში.
სამარაში: სააზნაურო ქუჩაზედ, შიბაევის სახლებში.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება:

არა მცირედს ყურადღებას იპყრობს ამ ჟამად მოსკოველებისას ჩაით მოვაჭრეთა ძმ. ალექსანდრე და ივანე პოპოვების საქმეები, რომელთაც თავისი ჩაის საწყობი «მოსკოვის მდინარის» გაღმა, კოჟევნიკების უბანში აქვთ. ამ მოვაჭრეთ ჩაიში, როგორც გაზეთებშიაც იყო, პოლიციამ აღმოაჩინა დიდი სიყალბე—უპოვნეს ჩაიში გასარევი კაპორის ბალახი; 100 ფუთამდე ნამდვილ ჩაიში გარეულიც ჰქონიათ ეს ბალახი. ამ გვარნი ვაჭრები ყოველის ღონის-ძიებითა სცდილობენ შეაცდინონ ჩაის მსყიდველნი და ამისათვის თავიანთი ეტიკეტი: «ძმანი А და И პოპოვები» ისე მიუმსგავსებიათ ჩვენი ფირმისას—«ძმანი К. и С. პოპოვები»,—რომ კაცი ძნელად გაარჩევს. იმათი ეტიკეტები იმდენად მარჯვედ არიან შეცვლილნი დი ისე ჰგვანან ჩვენებს, რომ მისი სწრაფად გარჩევა მცოდნე კაცისთვისაც-კი ძნელია, არამც თუ მდაბიოსათვის: იგივე საბეჭდავი შრიფტია, იმავე ფერის წამალია, იგივ არშია. ჩვენ ეტიკეტებზედ დაბეჭდილი გვაქვს ორი დიდი ასო К С და და იმათაც იმავე შრიფტისა, იგივე ასოები, მხოლოდ ასოში К წვრილის შრიფტით, კაცის თვალისათვის ძნელად გასარჩევის ასოებით ОНТОРА ე. ი. КОНТОРА დ С-ში კი КЛАДЪ ე. ი. СКЛАДЪ სწერია. უმორჩილესადა გთხოვთ ჩაის მხმარებელთ მიაქციოთ ყურადღება, არ შეგსცდეთ დ ჩვენი ფირმა К и С ПОПОВЫ იმათ ფირმათ—А и И ПОПОВЫ—არ მიიღოთ. იმათი დაბეჭდილი დიდრონის ასოებით К и С ეკუთვნიან სიტყვას КОНТОРА-სა და СКЛАДЪ-სა და ჩვენი კი სახელებისსათაურია. (3—1)

17 თებერვალს, ორშაბათს დღეს
ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში
იქნება გამართული:

ბალი

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ ბალს გულ-ამოუჭრელ კაბებითაც.

ბალი დაიწყობა ცხრა საათიდამ.

ბილეთების ფასი ორ-ორი მანათია.

ბილეთები ისყიდება შავერდოვის სააგენტოში და «კრუჟოკის» შვეიცართან. (6—1)

ტფილისი, 6 ფებერვალს

რუსეთის დიპლომატიურმა გაზეთმა «*Journal de St.-Petersbourg*»-მა მეტად ცხადად და რიხიანად წარმოსთქვა უგმაყოფილება ბოლგარიის და ოსმალეთის ხელ-შეკრულობისა გამო. ევროპა ამ გაზეთს იცნობს რუსეთის მთავრობის გაზეთად და ამიტომაც ენერგიულს სიტყვებს ამა გაზეთისას დიდს ყურადღებას მიაქცევდნენ დიდნი სახელმწიფონი. ასეთი სამართლიანი, მაგრამ მკვახე და უკან დაუხეველი სიტყვა დიპლომატიურის გაზეთისა ამისთანა დროში, როცა ყველანი იმასა ჰფიქრობენ, არავის არაფრით არ აწყენინონ და რაც შეიძლება ტკბილი სიტყვა იხმარონ, გასაკვირველი იქნებოდა, თუ რომ არ ვიცოდეთ რუსეთისათვის რა მძიმე რამ არის ბოლგარიის ჩავარდნა ოსმალეთის ხელში. ეს რვა წელიწადია რაც რუსეთმა განათავისუფლა ბოლგარია ოსმალთაგან, მთელი რვა წელიწადი თითქმის სამასი აფიცერი რუსეთის ჯარისა ბოლგარიას მიჩენილი ჰყვანდა რუსეთისაგან, რომ ბოლგარიას ჯარი გაუწყოს, მოუმართოს და გაუწურთნოს, მთელი რვა წელიწადია, რაც რუსეთი ბოლგარიას ყოველსფერში ხელს უმართავდა, შინაურს მმართველობაში ეხმარებოდა ასე, რომ ბოლგარიას სამხედრო მინისტრადაც კი რუსის აფიცერი ჰყვანდა, ერთის სიტყვით, ყველგან და ყველა საქმეში რუსეთის ხელი ერია. გავიდა რვა წელიწადი და ასეთმა «მამა-შვილურმა» განწყობილებამ რუსეთსა და ბოლგარიის შუა არამც თუ ფერი და სახე იცვალა, არამედ თვითონ საგანიც სრულად შეიშალა. დღეს ბოლგარია თითქმის დაეთხოვა უწინდელს მფარველს და სხვას მიეკედლა. მერე ვის? თავის დაუძინებელს მტერს ოსმალეთსა და აქედამ რუსეთის მეთვალწუნეს ინგლისსა.

რასაკვირველია, ეს უმადურება ფრიად საწყენია, მაგრამ არც იმოდენად ფხიანი და ძალოვანია, რომ მარტო მაგ მიზეზით ყოველვის ფრთხილს და თავ-დაჭერილს დიპლომატიურს გაზეთს ასეთი სასტიკი, მკვახე და უკან წამოუღებელი სიტყვა წარმოესთქვა. აქ სხვა უფრო მძიმე, უფრო მეტად სახელმწიფო ინტერესებისათვის საგრძნობელი მიზეზი უნდა იყოს.

ბოლგარია თითქმის ავსტრიის ზურგთ უკან არის მოქცეული, რუსეთიდამ რომ უყუროს კაცმა. ბოლგარიას 60,000 ჯარის-კაცი, კარგად გაწურთვნილი და შეიარაღებული გაუჭირებლად შეუძლიან იყოლიოს. სერბიაც აგრე უდევს ავსტრიის სამზღვარსა. ამიტომაც ამ ორივე სლავიანთა პატარა სახელმწიფოებს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ერთის მხრით რუსეთისა და მეორეს მხრით ავსტრიისათვის. ამით აიხსნება, რომ ავსტრია და რუსეთი ერთმანეთს ალმაცერად უყურებენ, ნამეტნავად მას შემდეგ რაგი დამარცხებული ბისმარკისაგან ავსტრია გერმანიიდამ გამოიდევნა და პირი აღმოსავლეთისაკენ მოიბრუნა. თუ ბოლგარია ან სერბია რუსეთის პოლიტიკის მომხრეობას გასწევენ, მაშინ ავსტრია რუსეთის წინაშე მეტად სუსტი იქნებოდა, რადგანაც ბოლგარია და სერბია, ზურგთ უკან მოქცეულნი ყოველთვის მუქარასავით თვალ-წინ უნდა ჰყოლოდა, როგორც ზურგული ჯარი რუსეთისა. რომ ეს ასე არ მოსვლოდა, ავსტრიამ სრულიად ჩაითრია სერბია, რომელიც დღეს რუსეთის წინააღმდეგ თითქმის ავსტრიის მოწინავე ჯარად უნდა ჩაითვალოს. ეხლა რუსეთმა რომ ბოლგარიაც სხვას დაუთმოს და სხვის ზედ-მოქმედების ქვეშ ამყოფოს, ავსტრიას ზურგიდამ არაფრის შიში აღარ ექმნება და მაშასადამე, უფრო მომეტებულის ძალით დახვდება რუსეთს, თუ ოდესმე ერთმანეთს აეშალნენ. რუსეთმა ძალიან კარგად იცის, რომ ბოლგარია რაკი თავის ჯარს სულთანს დაუმორჩილებს, აქედამ ინგლისის ანუ ავსტრიის ზედ-მოქმედება ბოლგარიაზედ ძალიან გაძლიერდება, იმიტომ—რომ უკვე ანდერძ აგებული ოსმალო ყოველთვის ამ ორ სახელმწიფოთა სათამაშო იქნება თავისის სისუსტისა გამო ევროპაში. რუსეთმა ისიც ძალიან კარგად იცის, რომ ინგლისი იმოქმედებს ბოლგარიაზედ, თუ ავსტრია—არც ერთი

და არც მეორე რუსეთისათვის კეთილს არაფერს მოასწავებს.

აი, ჩვენის ფიქრით, სად უნდა ეძებოს კაცმა მიზეზი, რომ დიპლომატიურმა გაზეთმა ასეთი მტკიცე და რიხიანი სიტყვა წარმოსთქვა: «რუსეთი თავის დღეში არა იქმსო, რომ ბოლგარიის ჯარები სულთანის განკარგულების ქვეშ იყვნენო და თუ სოფიაში ეს დაივიწყესო, სხვაგან ძალიან კარგად ახსოვთო». ძლიერი და მრავალ-მნიშვნელობიანი სიტყვებია დიპლომატების ყურისათვის.

ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 17 ფებერვალს კრუჟოკში «ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ იქნება ბალი. ეს საზოგადოება ყოველ წელსა ჰმართავს ხოლმე ბალს, რომელიც ბლომად იზიდავს ქართველს საზოგადოებას. იმედია, რომ წელსაც ამ ბალს საზოგადოება ბლომად დაესწრობა და ისევე მხიარულად გაატარებს სალამოს, როგორც კვლავ გაუტარებია.

⁂ ამ ყველიერშივე, 19 ფებერვალს, როგორც გვატყობინებენ, ქართულს დრამატიულს საზოგადოებასაც განზრახვა აქვს ბალი გამართოს და შემოსავალი სათეატრო საქმეთა სასარგებლოდ გადასდოსო.

⁂ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან სომხის არტისტის ადამიანის ჩამოსვლა ტფილისში. ამ დღეებში მისგან პირველი წარმოდგენა იყო დანიშნული აქაურს სომხის არტისტებთან ერთად. წარმოადგინეს გამოჩენილი დრამა «კინი». რაც შეეხება ადამიანის თამაშს, სიტყვა არ უნდა, რომ ძალიან მოსაწონი იყო, მაგრამ შესაბრალისი იყო დანარჩენ არტისტებთა შორის!... ანსამბლი სრულიად არ ვარგოდა და ამის მიზეზით თითონ ადამიანსაც რაოდენადმე უშლიდა.

თუმცა ბ. ადამიანი წესიერი არტისტია, მაგრამ საზოგადოებამ თეატრის ზალა არ აავსო. ამის მიზეზი იყო ამ არტისტისგან მეტად ძვირის ფასების დანიშვნა. მაგალითად: 1-ლი რიგი კრეს. 5 მ. იყო., 2-რე და 3-მე —4 მან., ლოჟა—15 მან. და გალერ. 50 კაპ.

ამ გვარმა ფასებმა საზოგადოება ისე დააფრთხო, რომ ორიოდე პირველის და მეორე რიგის სკამებისა და ოთხიოდე ლოჟის გარდა, ეს ადგილები სრულიად ცარიელები იყო.

ბ-ნს ადამიანს კარგად უნდა ესმოდეს საზოგადოების მდგომარეობა, უნდა ახსოვდეს, რომ ის დავალებული არის ამ საზოგადოებისაგან და მაშასადამე მოვალეც არის ამავე საზოგადოებას სამსახური გაუწიოს და საშუალება მისცეს იარონ მის წარმოდგენებზედ.

ყველაზედ გადიდებულს ფასად მიგვაჩნია გალერეია, საგრძნობელია მით უფრო მეტად, რომ იქ უფრო შეუძლებელი ხალხი დადის.

⁂ გაზეთ «Кавказъ»-ის სიტყვით უმაღლესს მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ სიონის საკათედრო სობოროსს კრებულს ჯამაგირი მოემატოს. კრებულის უწინდელს ჯამაგირს ემატება 1,200 მანეთი. ამ ფულით უწინ აფხაზიაში ბიჭვინტის მონასტერი ინახებოდა და ეხლა, რადგანაც ეს მონასტერი გაუუქმებიათ, ეს ფული სიონის სობოროსთვის გარდმოუციათ. საკათედრო დეკანოზს მოემატება 135 მანეთი. მოლარეს 120 მ. ორ დანარჩენ მღვდელსა და პროტო-დიაკონს, თითოს 10 მანეთი.

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის საინჟინერო გამგეობას განზრახვა აქვს, «ალექსანდროვის» ზემო ბაღიდამ შადრევანი შუა ბაღში გადმოიტანონ. ამიტომ შუა ბაღი დროებით დაიკეტება, მხოლოდ ზოგიერთი შესავალ-გამოსავალი გზა-ღა დარჩება.

⁂ ის საოცარი თვით-მკვლელობა, რომელიც თავადის ირაკლის აბანოში მოხდა, აქამდისინ ჯერაც არ არის რიგიანად გარკვეული. ამ საქმეზედ გაზ. «Новое Обозрѣніе»-ს აი კიდევ რა შეუტყვია: მიხეილ სერგიევი იყო 19 წლის ყმაწვილი კაცი, კარგი თვალ-ტანადი, ფოთიდგან 27 იანვარს ტფილისში მოსულა. ჩამოსვლისას გასტინიცა «Россія»-ში ჩამომხტარა. როდესაც გოსტინიცის პატრონს ბილეთი მოუთხოვნია, სერგიევს უთქვამს: «მე მხოლოდ ორ-სამ დღეს ვაპირებ ტფილისში დარჩომას და ბილეთი თან არ წამოვიღეო». გარდაცვალებულის ოთახში ბალიშის მეტი ვერა იპოვნეს რა, ქაღალდები უმეტესი ნაწილი დაეხია და ზოგიც ბუხარში დაეწვა.

⁂ ტფილისში მთელის იანვრის განმავლობაში 3 ჯერ ცეცხლი გაჩენილა, 3 კაცი უბედურების შემთხვევისა გამო მომკვდარა, 4-ს თითონ მოუკლავს თავი, 1 განგებ მოუკლავთ, 4 ყმაწვილი მიუგდიათ უცხოთათვის შესანახავად, 1 გაუცარცვავთ და 15 ქურდობა მომხდარა. («Нов. Обоз.»).

—

შეცდომის გასწორება. «ივერიის» № 28 ფელეტონში: «ბიბლიოგრაფიული შენიშვნა» შეცდომით დაბეჭდილია: მესამე გვერდის მეორე სვეტზე: «ლეგენდები ძალიან კარგად არიან»... ამის მაგიერ უნდა იყოს: ლეგენდები ძალიან კარგად არიან დაწერილი... ამავე გვერდის მეოთხე სვეტზე «უგუნური მოთხრობის» მაგიერ უნდა იყოს: «უგემური მოთხრობიდამ»; ამავე გვერდის მეხუთე სვეტზე დაბეჭდილია: «ცხოვრების სიყვარულსაც..., უნდა იყოს: «ცხოველების სიყვარულსაც»...

გუშინდელს «დამაკვირდში» ვახტანგ მეფის თქმული ასე უნდა იყოს:

«ენა უკლიტოდ მორბედი
ჭირია ულხინებელი.»

ნაკვესი

— რა არისო, რომ სამსჯავროში საქმის გარჩევის დროს მსაჯულებს მუნდირები აცვიათ, ადვოკატებს—ფრაკები და დამნაშავენი-კი უფრო ხშირად შიშვლებიც არიანო? ჰკითხეს ერთხელ აკაკის.

— ეს იმას ჰნიშნავს,—მიუგო პოეტმა, რომ საქმის გარჩევა მსაჯულებისათვის სამსახურია, ადვოკატებისათვის —ბალი და დამნაშავეთათვის კი აბანოო.

სოსო

ვისი ბრალია?

მისთანა სრული არტისტი, როგორიც არის ბ-ნი ვ. აბაშიძე და მისთანა მაღალ-ნიჭიერი მოთამაშეები, როგორიც ბრძანდებიან ქ.ბ. საფაროვი და გაბუნია, არათუ ჩვენ ნორჩ სცენას, უფრო დიდებულსაც ეკადრებიან, მაგრამ, ერთხელვე წაბორძიკებულს, ქართულ თეატრს კი მაინც ვერასა შველიან!—თეატრში აღარავინ დადის, მოთამაშეებს დღიური საზრდო აკლდებათ!.. არტისტებს საზოგადოებაზე გული სწყდება, საზოგადოება-კი პირ-იქით იმათვე ემდურის და ორივე მხარეც კი მართალია: ერთმანეთის გულს უტეხენ!.. საიდგან თუ არა ფარდა, სცენაზე დგანან მოთამაშეები და ჩასცქერიან საკარნახო ხვრელს; მოკარნახე ღრიალებს და ისინიც ბანს ეუბნებიან; თანაც ისე მიმობრაობენ და ირხევიან, როგორც დღეგანდელ «ვითომ ქართულ სუფრაზე», მომეტებულ ღვინისაგან თავ-დატანებული მომღერლები.—და მერე რას ადგენენ? ისეთ პიესებს, რომელიც გრძნობა-გონებას არას აძლევს სანუგეშოს, ან სასიამოვნოს. უცხო ენებიდან თავსედურად გადმოჯაგლაგებული კომედიები და თავსედურადვე შედგენილი ვითომ ისტორიული დრამები, რომელნიც მხოლოდ შეურაცხჰყოფენ ჩვენს ისტორიას და ცილსა სწამებენ წარსულ ცხოვრებას, გულს უწუხებენ ყურის-მგდებლებს!— ბაბილონურად არეულის ენით გადმოგვძახიან სცენიდან: თათრულ-სომხურით, სკვითურ-ბრითურით შეზავებული—ჩიქორთულს, ქართულს ეძახიან!... მოდი და გაამტყუნე საზოგადოება!!.. ახლა მეორე მხარეც ავიღოთ!.. თუ კი თეატრის დარბაზი ყოველთვის ცარიელი იქნება და მით დღიური საზრდო დააკლდებათ მოთამაშეებს, რამღა უნდა წაახალისოს ისინი და გაუმთელოს გული? მიკვირს, რომ სცენაზევე არ ეურებათ გულს და კიდევ ახერხებენ განახლების განმეორებას!.. ერთი დრო კი ჩვენ თეატრსაცა ჰქონდა: საზოგადოებისაგან ყოველ-გვარად პატივ-ცემული იყო და დღეს კი იმავე საზოგადოებამ გულიდან გადიგდო.— ვისი ბრალია? დღეს, ზემოთაც აღვიარეთ, არა ვისი!—ყოველ-გვარ შენობას თავისი საძირკველი აქვს, ყოველ საქმეს თავისი სათავე და იმათი გამოკვლევა ყოველთვის საჭიროა. — სოფლელებმა იციან: «რძალ-დედამთილი რომ გადაიკიდებიან, იმ სახლში ფუტკარი ვეღარ იხეირებსო.» ასეა ყოველივე საზოგადო საქმეც, როცა ხვანჯიანობა მოჰყვება და ხრიკები გაიმართება... მისი ფეხის ღრმობა აუცილებელია. და, მაშასადამე თეატრი, როგორც უფრო ცხადი და თვალსაჩინო სარბიელი, როგორ-ღა ასცდებოდა ამ საზოგადო კანონს?..—ჩვენში ნიჭი საზოგადო მოვლინებაა, მაგრამ მას თანვე მოსდევს ერთი საშინელი სენი, რომელიც ნიჭიერებას სწყლავს: უზომო თავმოყვარეობა და გიჟური თავ-გასულობა, არ ვიცით ზომიერად ჩვენი თავის დაფასება!.. საზოგადო საქმის გამო, რწყილმა რომ გვიკბინოს, ჯვარ-ცმულობას ვჩემობთ და იმავე დროს სხვა რომ მართლა ჯვარ-ცმულიც ვნახოთ, ჭიის ნაკბენათ არ ჩავაგდებთ!—უზომო თავ-მოყვარეობისაგან გატუტუცებულებს, ქალაჩუნა და ცბიერი მოყვრები, საზოგადო მუშები გვგონია, ჩვენც ვითომ მაგიერს ვუხდით და ხელს ვუწყობთ; მაშინ, როდესაც სწორ-მხედველები და მოპირდაპირენი გვეჯავრებიან—ვბღალავთ მათ ცილის წამებით და საქმითაც გამეტებული გვყავს!.. აბა გადავავლოთ თვალი ჩვენ სხვა-და-სხვა ასპარეზებს და

ფელეტონი

შავი-ქვის საქმე.

ამ ხუთი-ექვსის წლის წინად, მთელს საქართველოში არ მოიძებნებოდა ისეთი ყოველისფრით ღარიბი კუთხე, როგორიც იყო შორაპნის მაზრა. მთელი შორაპნის მაზრა მიმოჭრილია მთებით, კლდეებით, გორებით. ხალხი სცხოვრებს ამ მთებზედ; დღიურ სარჩოს მოელიან ამ კლდეებიდამ, ე. ი. ჰხვნენ კლდეებს და ამაზედ სთესენ მხოლოდ თავიანთ სამყოფს სიმინდს (მეტის დასათესად კი ადგილი არა აქვთ). თუ როგორ ძნელია კლდეების ხვნა და ნათესობის მოვლა, ეს ყველასათვის ცხადია. საკმარისია ვსთქვა, რომ გლეხი ხშირად სიმინდის დასათესად არც კი ჰხნავს, (რადგანაც ამისთანა აღმართებზედ საქონელი ვერ მუშაობს), ჰბარავს და დაბარულს ღორღში (მიწა და კლდის კირ-ქვიშიანი რბილი ქვა ერთმანერთში არეულია) აქა-იქ ჰფლავს სიმინდის მარცვლებს. კარგია თუ ახალ დათესილს ნიაღვარმა არ მოასწრო! ნიაღვარი ხშირად ჩარეცხავს ხოლმე გლეხის ნათესსა და მთელ წელიწადს მშიერს სტოვებს. შორაპნის მაზრა მთელს იმერეთში სიღარიბით განთქმული იყო. შორაპნის მაზრავე, სამწუხაროდ, აგრეთვე განთქმული იყო თითქმის ახლაც ავაზაკობით... რა ექმნა გონება-გაუხსნელს, გაუნათლებელ ხალხს, თუ კი საჭმელი არა ჰქონდა?

მთელი გაზაფხული შრომობს, ეწვია ნიაღვარი, გვალვა, ან სხვა ამ გვარი და მთელი თვეების ნაშრომი წალეკა. დარჩა ულუკმოთ. ოჯახს შენახვა უნდა. მიდის ავაზაკობს, ქურდობს და ამითი არჩენს თავის ცოლშვილსა. ამ სამწუხარო სენის ბუდეთ არ შეიქნებოდა შორაპნის მაზრა, რომ აქაური მცხოვრებნი გარდა სარჩო-საბადებლის სიღარიბისა, გონებითაც ღარიბნი არ იყვნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლება სამუშაოდ წასვლა ქვემო-იმერეთში, რაჭაში და სხვა ახლო ადგილებში, სადაც ხალხის მდგომარეობა უფრო უკეთესად არის მოწყობილი. შეეძლოთ გადასულიყვნენ ქართლს, კახეთში, სადაც ხშირად ჰსჭირდებათ მუშა-ხალხი. განა ქართლს და კახეთში ცოტანი არიან რაჭველები? მაშ შორაპნელებს რაღა დაემართათ? ის დაემართათ, რომ მრავალმა შორაპნელმა გლეხმა არ იცოდა თუ ქართლი ან კახეთი არის სადმე, და რომ იქაც ქართველები სცხოვრობენ. და თუ ვინმემ იცოდა ქართლისა და კახეთის არსებობა, იმასაც ბნელი წარმოდგენა ჰქონდა ამ მხარეებზედ. აი ეს ყოვლად ღარიბი ხალხი ბუნებას შეჰბრალებია და ნაცვლად მოსავლისათვის უნაყოფო ადგილებისა მიუნიჭებია მარგანეცის, ანუ, როგორც აქ ეძახიან, შავი-ქვის მადნები. დაიწყეს აქ შავი-ქვის შემუშავება თუ არა — ხალხში ავაზაკობამ იკლო. ხალხი ნელ-ნელა შეეჩვია, შეეთვისა ამ გვარ მუშაობას, შრომას.

⁂

შავი-ქვის მადნები მრავალია, როგორც საზოგადოდ მთელ ხმელეთზედ, აგრეთვე კერძოთ საქართველოში: რაჭას, სამეგრელოს, გორის მაზრაში რამდენსამე ადგილას, ტფილისის მაზრაში. მაგრამ შორაპნის მაზრის შავი-ქვა ყველაზედ უკეთესია და ადვილი სამუშაოც. სხვა მადნების მუშაობა უფრო მძიმე და ძნელია. ამის მიზეზი ის არის, რომ შავი-ქვა მიწაში პტყლად არა დევს, როგორც შორაპნის მაზრაში, არამედ თავ-ქვე აღმაცერად და ხშირად მიწაში გადასულ-გადმოსულია. როგორც პირველი ნაკლი, აგრეთვე მეორე საშინლად ამძიმებს მუშაობას. თუ შავი-ქვის კეცი თავ-ქვეა, მუშებს უჭირდებათ მუშაობა და ნამუშავარის გარედ გამოტანა ჰსჭირდებათ, რადგანაც შავი-ქვა მიწიანია და გარჩევა უნდა. გარდა ამისა წყალის შევარდნის შიშიცა აქვს. ამ გვარ მადნებს უფრო რთული და ძვირად ღირებული მოწყობილება სჭირდება. იმ მადნებში, სადაც შავი-ქვის კეცები (пласть) არეულია, ძნელია მუშაობა, გარდა ზემოდ მოყვანილს მიზეზებისა გამო, კიდევ იმითი, რომ კაცმა ნამდვილად არ იცის, რა სიღრმეზეა და კვლავ რამდენჯერ აღმოჩნდება. ამისათვის მუშა უფრო მიწის თხრას და ამოზიდვას უნდება, ვიდრე შავი-ქვის მოჭრას.

უცხო ქვეყნებში აღმოჩენილ შავი-ქვის მადნებს უფრო ეს ნაკლულევანება აქვს, რის გამოც მუშაობა აქაურზედ ძვირად ჯდება. ზოგან კი მაგალითებრ, ახალ ზელანდიაში, თუმცა შავი-ქვის მადნები კარგია, მაგრამ მუშაობა მეტის-მეტად საშიშოა, მხოლოდ იმიტომ რომ ჯერ კიდევ ველური ქვეყანაა. ღირსებითაც აქაური შავი-ქვა გაცილებით სჯობია უცხო ქვეყნების შავ-ქვასა. აქაური შავი-ქვა მოშავოა და ლითონის სიბრწყინვალე აქვს.

შავი-ქვის კეცები, როგორც ზევითა ვსთქვით, აწყვია პტყლად ანუ, უკედ სიპრტყეზედ ხშირად სიგრძით ორ არშინამდის, მაგრამ მთელი ეს სისქე შავ-ქვას არ შეადგენს, უფრო ხშირად აქა-იქ ურევია კიროვანი-შპატი და თიხოვანი-კირი. მაგალითებრ, მიწაზედ ჰდევს შავი-ქვის კეცი სისქით 1—2 ვერშოკი, შემდეგ ჰდევს შავი-ქვა-ღორღი, ზედ მიწა, მერე კიდევ შავი-ქვის ღორღი ანუ კეცი, ზედ კიდევ მიწა... და ყველა ამას ზედ აწევს საკმაოდ სქელი კეცი კიროვან-ქვიშის ქვისა და სამცენარო (Растительная) მიწა.

შორაპნის შავი-ქვის ანალიზები შემდეგია:

1) MnO_2 —80,33% $\left\{\begin{array}{l} Mn—51{,}58\% \\ O_2—28{,}75— \end{array}\right.$

$\underline{fe—1{,}50\%}$

89,83%

მიწა—18,17%

2) MnO_2—86,7% $\left\{\begin{array}{l} Mn—54{,}86\% \\ O_2—31{,}84\% \end{array}\right.$

$\underline{fe—1{,}5\%}$

88,2%

მიწა—11,8%

3) MnO_2 —93,3% $\left\{\begin{array}{l} Mn—59{,}05\% \\ O_2—34{,}25 \end{array}\right.$

$\underline{fe—1{,}0}$

94,3%

მიწა—5,7%

ავიღოთ ერთი მათგანი. მაგალითად, სამწერლო ასპარეზი.—რას დავინახავთ? გამოვა თუ არა, გადადგამს თუ არა ახალ-გაზდა ქართველი პირველ ბიჯს, მაშინვე მიმოიხედავს აქეთ-იქით და თუ შეატყო, რომ მოიწონეს, შეინიშნეს, ისე გაზვიადდება, რომ თავს მეშვიდე ცასა ჰკრავს.—გარდა თავის-თავისა აღარავინა სწამს ქვეყნად და უკვირს, რომ დედა-მიწაც მის ნებაზედ არა ტრიალებს... გარდა ზვიადისა, ყოლიფერზე ხელს იღებს, მით თავის ბუნებით ნიჭს იქარწყლებს და ქარაფშუტდება!.. ბევრი ამ გვარი მაგალითი გვინახავს, სამწუხაროდ!.. ზოგიერთები ხშირად ჩვენვე გვსაყვედურებიან: «თქვენი ბრალია! რათ მოიწონეთ! რათ შენიშნეთ! რათ გაათამამეთ და სხვანიო»! მაგრამ ეს სამართლიანი საყვედურია? ყმაწვილი რომ პირველად ფეხს აიდგამს, ან ტიტინს დაიწყებს—მშობელი, აღტაცებაში მოსული იმ აზრით, რომ მისი ნორჩი, არც საპყარი იქნება და არც მუნჯიო, აქებს თავის პატარა საყვარელს და, ხშირად იმედებისაგან გატაცებული, ნამეტანსაც აზვიადებს, მაგრამ ამას მარტო მიტომ შვრება, რომ ყმაწვილი მხარ-თეძოს წამოწევს, აღარ იმოძრაოს, აღარა ისწავლოს-რა და აღარავის რამ გაუგონოს? ამ ზოგიერთების სენს საზოგადოებაც ხელს უწყობს... ერთხელ რომ ვინმე აქო და მერეთ რაშიმე აძაგო, მაშინვე გაუტანლობას შეგწამებს, უპირობათ ჩამოგართმევს და იტყვის: «მაგის სიტყვა რა დასაჯერებელია! ხან აქებს და ხან აძაგებსო!» იმას ავიწყდება, რომ ადამიანში ბევრი სხვა-და-სხვა მხარეა... ბევრი სხვა-და-სხვა რამ სამოქმედო!.. ზოგი მოსაწონი, ზოგი დასაწუნი; ზოგი სასარგებლო, ზოგი მავნებელი! და მაშასადამე ჩვენც ვალდებულნი ვართ, გავარჩიოთ ის ადამიანი და ყოველ მის მხარეს, ყოველ-გვარ მის მოქმედებას შესაფერი სახელი დავსდვათ. აქ სად გამოდის უპირობა?.. მაგრამ ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ საკუთარის თვალით არას უყურებს, განაგონით, სხვისი აყოლით სჯის და შეცდომაში ჩავარდნილი, ნამდვილს მიმსგავსებულისაგან ვეღარ არჩევს.—თუ ამას გარჩევა შეეძლოს, აი რას იტყოდა: «მე აღვიარებ საზოგადო მოქმედ პირად იმას, ვინც მხოლოდ იმდენათ ჰფიქრობს თავის თავზე, რამდენიც საჭიროა მისი დღიური არსებობისათვის, და დანარჩენ ყოველივეს მსხვერპლად სწირავს საზოგადო საქმესო! მე ვენდობი მხოლოდ ამ გვარ მუშასა! და ის კი, რომელიც თავის თავზე მომეტებულად ზრუნავს, რომელსაც მისი ცხოვრების ხიდათ და გზათ უნდა საზოგადო ასპარეზი: საჩემო არ არის და შორს ჩემგანო.—აი მაშინ, მხოლოდ... მაშინ კი თაღლითი, მარგალიტში ვერ გამოერევოდა, სამანიკო არ გახდებოდა და ქვეყანაც წარმატებაში შევიდოდა.—მაგრამ, ეჰ, დავანებოთ თავი ამ საზოგადო მსჯელობას, უმისოთაც გაჭიანურდა ეს სტატია, და მივუბრუნდეთ ქართულ თეატრს და ჩვენ არტისტებს:—ის მოთამაშე, რომელიც მხოლოდ თავის თავზედა ჰფიქრობს: სცენაზე მიტომ გამოდის რომ ტაში გამოიწვიოს, საჩუქარი მიიღოს, თვალები პუბლიკისკენ გადააპრიწიალოს, ულვაშები გადიხ-გადმოიგრიხოს, ვინმეს გაუცინოს, გააცინოს, ანიშნოს და ანიშნოს რამ და სხვანი და სხვანი, განა არტისტი იქნება?.. ამას მე საზოგადოდ ვამბობ, დღეს მსჯელობაში არავინა მყავს და ტყვილა ნურც ვინმე მიიღებს თავის თავზე.—არტისტს ისე უნდა ავიწყდებოდეს სცენაზე თავისი თავიც და გარეშე წრფელმხნობაც, როგორც ეს ზნეთა აქვს გადაქცეული გ. აბაშიძეს, და მაშინ შეიძლებს მხოლოდ მოვალეობის ასრულებას.—დიდი ნიჭიც რომ არა ჰქონდეს, არტისტს, თუ კი გულ-დადებით გაირჯება, პატივსაცემი გახდება, სასარგებლო. ამ გვართაგანი იყო განსვენებული შიშნიაშვილი და აგრეთვე არიან დღეს მმინაროვის ქალი და მოხვევ.—

თუ ეს თვისება აკლია არტისტს, დიდი ნიჭიერიც რომ იყოს, არად ღირს.—რაც უფრო დიდი ნიჭის პატრონია კაცი, უფრო მეტი შრომა, სწავლა, განვითარება და თავ-დადება ეჭირვება!.. ავიღოთ მაგალითად ორი ჩვენი არტისტი: გ. მესხიევი და კ. მესხი. ორივე ერთსა და იმავე დროს გამოვიდნენ. პირველი უფრო შესანიშნავი იყო მეორეზედ.—მაგრამ პირველმა შეაფერხა თავის დიდი ნიჭი, მეორემ კი საზრდო მისცა. და დღეს მათში ისეთი განსხვავებაა, რომ შედარებაც მოუხერხებელია!.. კმარა. ამით ვათავებთ ჩვენს მოკრძალულ სტატიას... იგულისხმონ ჩვენმა არტისტებმა და დაანებონ თავი რძალ-დედამთილობას, მაშინ მათი ფუტკარიც ისარებს და უფლებაც ექნებათ, რომ ჩვენ საზოგადოებას თაფლი მოსთხოვონ.

აკაკი

დამაკვირდი!

მაგალითი მუქარაზედ უფრო ძლიერ მოქმედობს. (კორნეილი)

⁂

გმირსა ჰქმნის შემთხვევა, მართალსა კი—ყოველ დღიური სიქველე. (მასსილიონი)

⁂

ცოტაა ქვეყანაზედ იმისთანა კაცი, რომლისათვისაც მართალი საწყენი არ იყოს. (სეგური)

⁂

ცდომა მომაკვდინებელია ერისა და მარტო ჭეშმარიტებაა აღმადგენელი. (ჟუე)

⁂

რაც საჭიროა, მასზედ მეტი რომ კაცს არ მიეცეთ, ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცევოდა. (შექსპირი)

⁂

სიბრძნის ფუძე ჩაწერია
მოთმინების მომგებარსა.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

ერთმა უზრდელმა ბევრი საწყენი სიტყვა უთხრა ლიზანდრს სადილზედ.

— ყოველთვის მაგ გზაზედ იარეო, უთხრა ლიზანდრმა: და არამც და არამც არ გადაჰხვიდეო. ბოლოს იქნება ღმერთმა როგორმე გიშველოს, ეგ საძაგლობა სულ წამობღერტოს და დაცარიელდე ავისაგანაო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არა ერთს სახელმწიფოს შიშის ზარი დასცა ბისმარკის მედგარმა სიტყვამ. ბედკრულის ავსტრიის სვე-ბედსა ხომ განკითხვის დღე კარს მოსდგომია! საკმაოა ვითომ ბისმარკმა შუბლი შეიჭმუხნოს, თითი დაიქნიოს, რომ ავსტრია მიწასთან გასწორდესო!

საკმაოა, ამბობს გაზეთი «Современныя Извѣстія», ბისმარკის სიტყვა, რომ ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოს ხსენებაც აღარ იყოს; ისე გაჰქრება, რომ კრინტის ამოღებაც ვეღარ მოასწროს; ბუნების წინააღმდეგი ერთობა თავის-თავად დაიშლება და ეხლა ძალადობით შეკოწიწებულ სახელმწიფოებს ახალი სიცოცხლე მიეცემათ. საკვირველია, მართლაც ეს სახელმწიფო, რომელსაც ავსტრიას ეძახიან და რომელსაც ისტორიაში მაგალითი არა ჰქონია, სახელმწიფო, რომელსაც ვერავინ თავის სამშობლოდ ვერ უწოდებს! არიან ჩეხები, სლოვაკები, მადიარები, ხორვატები, ავსტრიის ერი კი არსად არის; არიან მხოლოდ ავსტრიის მოხელენი და აფიცრები. იქნება ბისმარკმა კიდევ ნება მისცეს რამდენიმე ხნის სიცოცხლისა ამ «პოლიტიკურს ნაგაზს», თუმცა კი დღესაც რომ სული ამართოს ავსტრიას არც არავინ გამოესარჩლება და არც არავინ დაინანებს.

აი შიშს რა შეუძლიან! საცოდავს მოსკოვის ზარის მრეკავს, ე. ი. გაზეთს «Совр. Извѣс.», გონება ისე დაჰფანტვია, რომ მარტო ავსტრიას მისწვდომია და ერთის კალმის მოსმით სრულიად ანადგურებს. რად დაჰვიწყებია მოსკოვის მეზარეს, რომ მარტო ავსტრიის სახელმწიფო არ არის «პოლიტიკური ნაგაზი»? ინგლისი და გერმანია მაინც მოჰგონებოდა?

⁂

თითქმის მთელი რუსეთის გაზეთები ეხლა სულ ახლად გარდაცვალებულს მამულის უკეთესს შვილზე, აქსაკოვზე ლაპარაკობენ. «Петербургская газета» სხვათა შორის აქსაკოვს გამოჩენილს გარდაცვალებულს რუსის სარდალს სკობელევს ადარებს და აი რას ამბობს:

გული მისი მხურვალე რუსეთის სიყვარულით ღვიოდა; ამ გულმა, როგორც სკობელევის გულმა, არ იცოდა, რა არის სინიდისის გადადგომა და შიში, ვერ შეუძლო ამ ბოლოს დროის განსაცდელსა,—და გულ-წრფელი მამულის შვილი ქვეყანას გამოესალმა. ამისთვის, როგორც განსვენებულის სკობელევისთვის, სლავიანების საქმე—ბედის-წერის საქმე იყო; ორივენი იმ დროს განშორდნენ ქვეყანას, როდესაც მთელი ბალკანის ნახევარკუნძული საშინელს გაჭირვებასა და განსაცდელშია. უდროვოთ დადუმდა სლავიანების ერთგულის მოსარჩლის ხმაო, ამბობს ბოლოს გაზეთი.

რომ გარდაცვალებული აქსაკოვი ერთგული და გულ-წრფელი სლავიანების მომხრე იყო, ამაზედ უარს ვერავინ იტყვის. მაგრამ ამის თქმა კი ძნელია, იქონიებდა ამის გულ-წრფელი სიტყვა გავლენას სლავიანებზე, თუ არა. ბალკანის სლავიანები ევროპიის სახელმწიფოთა ოქროს და ძალას უფრო მოწიწებით უყურებენ ეხლა, ვიდრე მოძმეთა გულ-წრფელს სიტყვას.

⁂

გაზეთი «Новости» აქსაკოვზედ ამბობს:

აქსაკოვი მტკიცედ იდგა თავის ნამდვილ-მოსკოვურ აზრსა და რწმუნებას: ამის შეხედულობით ავსტრიაში ყველგან და ყოველთვის სლავიანები მართალნი იყვნენ; მადიარებს კი თავის გამართლება ვერაფრით ვერ შეეძლოთ ამის წინაშე.

ამის სიტყვებში მიდგომით სჯა ცხადათა სჩანდა, თუმცა ამ მიდგომით სჯის გულ-წრფელობა ყველგან აშკარად გამომჭვირვალებდა. ყოველივე ეს შესაძლოა, გულის სატკენიც ყოფილიყო, მაგრამ თავის დღეში საწყენი არ ყოფილა. აქსაკოვი ამითი არ ქადულობდა, არ მედიდურობდა, მაღლა თავი არ მოჰქონდა. იგი მხოლოდ გულ-წრფელად სცდებოდა. რაც არ გინახავთ, იმას როგორ ესარჩლე-

---

ორთა-შუა რიცხვით ღირსება შორაპნის შავი ქვისა არის 55%, უცხო ქვეყნების შავი-ქვისა კი 40% ზევით არ არის.

⁂

შავი-ქვის მადნები საკმაოდ დიდ სივრცეზედ არის მოფენილი. აი სოფლების სახელები, სადაც აღმოჩენილია საუკეთესო შავი-ქვის მადნები და სადაც დიდი ხანია მუშაობენ კიდეც: 1) ყვირილის მარჯვენა მხარეზედ: რგანი, ზედა-რგანი, მღვიმევი. 2) მარცხენა მხარეზედ: პერევისი, შუქრუთი, იტხვისი.

თუმცა შორაპნის მაზრის შავი-ქვის მადნების არსებობა დიდი ხანია იცოდნენ*), მაგრამ მუშაობას და დასავლეთ ევროპაში გაგზავნას შეუდგნენ მხოლოდ 1879 წელსა. მანამდისინ არც დიდ ხმარებაში იყო იგი და თუ ევროპას სჭირდებოდა თავისით იოლად მიდიოდა.

მას შემდეგ, რაც ბ-ნმა ბესსერერმა აღმოაჩინა ახალი საშუალობა შავი-ქვით ფოლადის გადნობა, რომელმაც სიაფით და უკეთესობით განდევნა ხმარებიდამ სხვა გვარად გაკეთებული რკინა და თუჯი, შავი-ქვის მოთხოვნილებამაც დღითი-დღე იწყო მატება. ევროპას დღეს აღარა ჰყოფნის თავისი შავი-ქვა და ამისათვის მოჰმართა საქართველოს და აქედამ დაიწყო ზიდვა. თუნდ სამყოფიც ჰქონდეთ, იქაური შავი-ქვა აქაურზედ ძვირად დაუჯდებათ და დაბალის ხარისხისაც არის.

⁂

შავი-ქვის საქმე ჩვენში დაიწყო ბარონ მერცენფელდმა, რომელიც იყო წარმომადგენელი ცნობილი «კ. ვახტერისა და ამხ.» სავაჭრო სახლისა. ბარონმა არ დაზოგა არც ფული არც შრომა, არც ენერგია ამ საქმის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო. ამას აღმოუჩნდნენ საკმაოდ ღონიერ მეტოქეთ აქაური ვაჭრები: მოსეშვილი, ჩუბინიძე, სიხარულიძე და სხვანი, რომელთაც ბარონზედ უკეთ იცოდნენ შავი-ქვის მადნების მეპატრონეთა მდგომარეობა, ადგილების სამზღვრები, აქაური ხალხის ხასიათი. ესენი შეუდგნენ მადნების იჯარით აღებას და ყიდვას და მოკლე ხანში ბარონს ხელიდამ გამოაცალეს საუკეთესო მადნები და თვითონ დაიწყეს მუშაობა.

თუმცა მერცენფელდმა დიდი ფული დახარჯა ამ საქმეზედ, მაგრამ ადგილის მოხერხებულმა ვაჭრებმა იგი სრულიად განდევნეს.

რადგანაც ევროპაში დიდი მოთხოვნილება იყო შავი-ქვისა და ადგილობრივი ვაჭრები კი ჯერ-ჯერობით ვერ ასდიოდნენ, ამისათვის *Terre-noire*-ის ამხანაგობამ, რომელთაც საკმაოდ ბევრი შავი-ქვა უნდებათ, გამოგზავნა თავისი აგენტები, რათა მათ თვითონ დაეწყოთ მუშაობა. მათ შორის იყო ამ საქმეში დახელოვნებული და გამოცდილი ინჟინერი პიო, რომელსაც სარდინიის მადნებში დიდხანს ემუშავნა. აიღეს იჯარით მადნები, მოიყვანეს იტალიიდამ დახელოვნებული მუშები და დაიწყეს შავი-ქვის ჭრა. რადგანაც მოჭრაზედ გადმოზიდვა შავი-ქვისა უფრო ძნელი იყო;—ახლაც ისეა—ამისათვის პიომ შეადგინა რკინის გზის გასაყვანად პროექტი; პროექტით ის გზა უნდა გამოსულიყო ყვირილის ნაპირზედ, და რადგანაც რკინის გზა მადნებს ვერ მიუდგებოდა, აქაც, საქმის მცოდნე პირებმა შეადგინა მადნებისა და რკინის გზის სტანციის შესაერთებლად «ზეზეურის რკინის გზის პროექტიცა». რკინის გზის გაყვანის პროექტი წარუდგინა მთავრობას. პროექტთან პიოს ახირებული თხოვნა წარედგინა. რადგანაც ამ გზას მე ვაკეთებ, მომეცით ნება მხოლოდ ჩემი შავი ქვა ვზიდოო. მანამდის მთავრობისადმი წარდგენილ პროექტის პასუხი მოუვიდოდა, პიო შეუდგა «ზეზეურის რკინის გზის» კეთებას. გააბა თითქმის 1½ ვერსტზედ სხვილად გრეხილი მავთულები, თავში და ბოლოში გაუკეთა საჭირო ჭახრაკები პატარა ვაგონების ამოსატან-ჩასატანად, მავთულებზე გადაჰკიდა პატარა ვაგონები და... მთავრობისაგან კი უარი მიიღო. დაირღვა პიოს პროექტები. დაიღუპა იმდენი ფული, შრომა, დრო. *Terre-noire*-ის ამხანაგობამ გაიგო პიოს წინ-დაუხედავი და მოუფიქრებელი საქციელი, გაიგო აგრეთვე, რომ დანარჩენი აგენტებიც რიგიანად არ იქცეოდნენ და იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა ჩინებულად დაწყობილი საქმე.

უფრო ხანგრძლივ მომუშავედ აღმოჩნდენ იტალიელი ბოლდეტი და *Terre-noire*-ის ნააგენტარი პუჟე. ესენი ახლაც მუშაობენ და საქმე იმდენად კარგად მიჰყავთ, რომ იმედია კიდევ დიდხანს იმუშავებენ, თუმცა ვერც ერთი ამათგანი ჯერ ვერ შეედრებიან აქაურს ვაჭრებს, რომელთაც შავი-ქვა გაცილებით იმათზედ მეტი გამოაქვთ.

მაგალითებრ, პ. მოსეშვილმა 1885 წ. გაიტანა ყვირილაში და ჩააბარა 470,000 ფუთი, სიხარულიძემ 360,000, ჩუბინიძემ ცოტა ამაზედ ნაკლები და მებრ სხვათა. იმათ კი თითომ 200,000 ფუთზედ მეტის გადატანა ვერ შეიძლეს. მიზეზი ზემოდვე ვსთქვით: საუკეთესო ადგილები თითქმის ყველა სოფლებში, სადაც-კი შავი ქვის მადნებია, დაიჭირეს აქაურმა ვაჭრებმა.

მოთხოვნილება შავი ქვისა დღითი-დღე ჰმატულობს-მეთქი. რომ ეს მართალია, დაინახავთ შემდეგის ცნობებიდამ.

1879 წელში ამოღებული და გაზიდული იქნა — 54,000 ფუთი
1880 წ. — — 253,800 —
1881 წ. — — 250,360 —
1882 წ. — — 545,828 —
1883 წ. — — 921,407 —
1884 წ. — — 1,263,000 —
1885 წ. — — 2,602,000 —

სულ 7 წელიწადში
გადატანილია — 5,890,395 ფ.

განი.

(შემდეგი იქნება)

---

*) სულ პირველად აღმოაჩინა აბიზმა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1852-1853 წწ.

ბითო? გვეკითხავს ხშირად ხოლმე თვითონ აქსაკოვისათვის.

— რა ვუყოთ, რომ არ მინახავსო!.. მე მწამს და ეს დანახვაზედაც მეტია!

მოდი და ელაპარაკე! არც შენს მოგზაურობას, არც ადგილობრივ, ავსტრიაში და ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, საქმის გაცნობას და შესწავლას,— არაფერს ყურს არ ათხოვებდა, თუ იმის კილოზე ლაპარაკს არ დაიწყობდი.

მეტი მოწინააღმდეგეს აზრის უპატივრობა და შეუწყნარებლობა კიდევ გინახავთ!

მართალია, ცოტა უდროვო და უადგილოა ახლად მიწა წაყრილ საფლავზე ამ გვარი ანგარიშების წამოყენება, მაგრამ არც ამას კი მოველოდდით, თუ გაზ. «Новое Время» ამ სიტყვების დამწერს ასეთს დარიგებას წაუკითხავდა:

> სრულიად საკმაო იქმნება, გითხრათ, რომ ამ სიტყვების დამწერი გახლავთ ბ-ნი ბობორიკინი, უბედი და ლაქლაქა ბობორიკინი, სიტყვა-ცულლუტი ბობორიკინი, ის ბობორიკინი, რომელიც სულელურის გულ-მოდგენით, უჭკუო ერთგულობით უქადაგებდა პარიჟელებს, დოსტოევსკის ნაწარმოებს ტყუილად მოჰყვებართ ალტაცებაშიო, ის ბობორიკინი, რომელიც პარიჟშიაც ყველას სასაცილოდა ჰყავდათ აგდებული.

ჯერ რა პატიოსნებაა ფსევდონიმის გამოაშკარავება! გაზ. «Новости»-ებიდამ ზემოდ მოყვანილ სიტყვების ქვეშ აწერია: «ბელლეტრისტი» და არა ბობორიკინი. მეორე ესეთი პირ-მოხსნილი ლანძღვა-გინება სადაური-ღაა? ღმერთმანი, სამაგალითოა! აი აქედამ ვურჩევთ ზოგიერთს ჩვენს ლიტერატორს თავის მოწინააღმდეგის შემკობა ისწავლოს, და თუ კიდევ აგლიათ რამე, შეივსონ!

⁂

გაზეთ «Псковскій Городской Листокъ»-ში დაბეჭდილია ახირებული ფელეტონი ამ სახელით «აფრიკის მერმისი». აი რითა თავდება ეს შესანიშნავი ფელეტონი:

> ბევრი ხანი არ გაივლის, რომ მთელი აფრიკა, აოხრებულ და უკაცურ უდაბნოთ გარდაიქცევა; ეს აუცილებლივ მოხდება და ამის შველა ვერაფრით ვერ შეიძლება. ამის შემდეგ დიდხანს არ გასტანს და მთელი დედამიწაც, იმ გვარვე უდაბნოთ გარდაიქცევა, როგორც აფრიკა, და ისეთ მკრთალ ნათელს მოჰფენს მთელ მსოფლიოს და ქვეყნიერობას, როგორც მთვარე.

რაკი ეს დალოცვილი მეფელეტონე ქადაგად დაცემულა, ნეტავი ესე შორს რადა მიარბევინებდა, ევროპა უფრო ახლო არ იყო; მაგრამ ვინ იცის, იქნება ზოგიერთ მოხელესავით «პროგონების» ფულს გამოუდგა!

დეპეშა

6 ფებერვალს

პეტერბურგი. «С.-Петербургскія Вѣдомости»-ებს გაუგონია, რომ საერო განათლების მინისტრის ამხანაგის თავ-მჯდომარეობით ცალკე კომიტეტს უკვე შეუდგენია პროექტი საექიმო ინსტიტუტისა ქალებისათვის, წარუდგენია სამინისტროსათვის და ახლა წესისაებრ ჩქარა დასამტკიცებლად გაჰგზავნიანო.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ საკარანტინო წესდების პროექტი გაათავებს და მალე სახელმწიფო რჩევას წარუდგენენ დასამტკიცებლადაო.

ის ხმა რომ ვითომ სტეპნოე საგენერალ-გუბერნატორო გაუქმდებაო, ნაადრევი გამოდგა.

კიშინიოვი. სამხედრო სასამართლომ განიხილა ებრაელ ავაზაკთა საქმე, რომელთაც გაცარცვეს ბელცკის ქსენში და წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. სასამართლომ გადუწყვიტა: სამს ჩამოხრჩობა და სამს კატორღა თხუთმეტის წლით.

ბერლინი. მთავარი ჩერნაგორიისა წარსდგა სანახვად იმპერატორისა და იმპერატრიცის წინაშე და ინახულა თავადი ბისმარკი.

სტამბოლი. ოსმალეთმა რომ შეუთვალა სერბიას, მიზეზი შემატყობინე, რათ იჭურვები და თოფ-იარაღს რათ ისხამო, სერბიის მართებლობამ პასუხად მოსწერა, რომ საქმეთა მდგომარეობა განურკვეველია და იმიტომაო. ამბობენ, რომ პორტა მაინც მოითხოვს — სერბიამ თოფ-იარაღი აიყაროს, სხვა არა იყოს-რა მარტო იმიტომ, რომ ბოლგარიამ განაცხადა, თუ სერბია აგრე იქცევა, მეც მეტი ღონე არა მაქვს, მზად უნდა ვიყო ყოველის შემთხვევისათვისო. — დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მიეწერათ, ურჩიონ ოსმალეთს, რათა მან გააუქმოს ის მუხლი ოსმალ-ბოლგართა მორიგებისა, რომლის მალითაც ერთმა მეორეს თავისი ჯარი უნდა აშველიოს და რომელიც უმთავრესს საგანს შეადგენს რუსეთის მხრით წინააღმდეგობისას.

ბუქარესტი. პალატაში უკმაყოფილება მოხდა და ბრატიანომ მინისტრობიდამ გადადგომა ითხოვა.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

4 დღე სამშაბათი. ღირსისა ისიდორესი, კირილესი და მთავ. გიორგისა. სომ. მეორე დღე მარხვისა არაჩავორაცი; კათ. ანდრია კორს. ევ. მუსულმ. 13 დღე თთვისა ჯემად-ულ-ევველ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—17; ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 5—34; მთვარე ამოდის 3—14; ჩადის 4—22 ნღ.

5 დღე ოთხშაბათი. ქალწ. მოწ. აღათიასი კათ. აღათიასი მუსულმანთა: მიცვალება ალისა (სუნიტ. მოძღვარ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—13. ტფილისში მზე ამოდის 6—52; ჩადის 5—36. მთვარე ამოდის 4—20; ჩადის 5—15 ნღ.

6 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ვუკოლე ეპ. ივლიანისა წმ. ქალწ. მოწ. მართასი და მარიამისა. კათ. დოროთისა. გავსება მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—8. ტფილისში მზე ამოდის 6—50; ჩადის 5—37. მთვარე ამოდის 5—47; ჩადის 6—4 ნღ.

7 დღე პარასკევი. ღირსისა პართენი ეპ., ლუკასი და 1003 მოწამეთა. სომ. იონა წინასწარმ. კათ. რომუალდისა და კლოტილდისა. ჭეშმარიტ. შუადღე 12—14—2. ტფილისში მზე ამოდის 6—49; ჩადის 5—38. მთვარე ამოდის 6—57; ჩადის 6—45 ნღ.

8 დღე შაბათი. წმ. დიდ. მოწამისა თეოდორე სტრატილატისა, ზაქარია წინასწარმეტყველისა, სომ. წმ. სარქის სტრატილატისა, ძისა მის მარტიროზისა და 14 მხედართა. გახსნილება.

ბაქოს ხანი ჰუსეინ-ყული გამოვიდა ბაქოს ციხიდან თ. ციციანოვისათვის ქალაქის გასაღების მისართმევად. როცა ციციანოვმა ჩაიბარა გასაღები, უცებ მოკლულ იქმნა თ. პოდოლ. ერისთავითურთ ხანის მხლებელ სპარსელთაგან. ციხიდამ გამოცვივდნენ და ციციანოვი ასო-ასო დასჭრეს და თავი თან წაიღეს. ციციანოვის გვამი დამარხულია სიონში 1806 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—55. ტფილისში მზე ამოდის 6—48; ჩადის 5—39; მთვარე ამოდის 8—9; ჩადის 7—25.

9 დღე კვირა. ცთომილ შვილი წმ. მოწამე ნიკიფორესი, კათ. აპოლონისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—48. ტფილისში მზე ამოდის 6—47; ჩადის 5—40. მთვარე ამოდის 9—15; ჩადის 8—13.

10 დღე ორშაბათი. წმ. მოწამე ხარლამპისა. სომ. წმ. ატომიანთი. კათ. სხოლიასტიკისა და ირინესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—40. ტფილისში მზე ამოდის 6—46; ჩადის 5—42. მთვარე ამოდის 10—24 ნღ. ჩადის 8—39.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2¼ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ „
მე-2 ხარისხისა	3 „
მე-3 —	2½ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 „
2 —	7 „
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	8 „
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 „
2-ის ხარისხ.	5 „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი

უწინდელზე ნახევარ ფასათ, ლექსიკონები: საბა-სულხან ორბელიანისა—2 მ. 20 კ. გაგზავ. ბოტანიკურ-ზოოლოგიური — 1 მ. 10 კ. ისყიდება თბილისში, გრ. ჩარკვიანის მაღაზიაში.

დაიბეჭდა და ისყიდება
საყმაწვილო სურათებიანი წიგნი
„შალვას თავ-გადასავალი"
წიგნში 33 სურათია, ფ. 20 კ.

ისყიდება გრიქუროვისა და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში. ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან დაიბარებს არა ნაკლებ ოცის წიგნისა, მას მანათზედ ერთი აბაზი დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, Татишвили, Акимовская ул. № 22.

(5—5)

სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფებოდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქვაშუეთის ეკკლესიის შენობაში, გადავიდა სასპერნის ქუჩაზე, მთავარ-მმართებლის თანაშემწის სახლის გვერდზედ ალექსანდროვის ბაღთან, თავის საკუთარს სახლებში, № 4.

იღებს ყოველ-გვარს საბეჭდავს საქმეებს სხვა და სხვა ენებზედ. ფასი ზომიერი; შეკვეთილი საქმე სუფთად და ვადაზედ ჰბარდება შემკვეთელს. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ ამ ადრესით მომმართონ: *Тифлисъ, Типографію Еф. Ив. Хеладзе на Саперной улицѣ въ собственномъ домѣ.*

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ.
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА
Карсской Области
ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ
„КАРСЪ"
на будущій 1886 годъ.

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году. по тоже программѣ и подъ тою-же редакціею.

условія подписки

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль.
Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потомъ редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

Дозволено цензурою Тифлисъ 6 февраля, 1886 года   ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში.   რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.